

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N018/17¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სოფიკო ჩიხრაძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი იცავს ბრალდებულს. სასამართლო სხდომის დაწყებამდე, დარბაზში ყოფნისას, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის მოხდა შელაპარაკება, რის შემდეგაც ბადრაგმა ბრალდებული გაიყვანა დარბაზიდან. პროკურატურამ კი სასამართლოს უპატივცემულობისა და მუქარის თაობაზე აღძრა საქმე. ბრალდებულის ყოფილი ადვოკატი თვითმხილველი მოწმის სახით დაკითხვაზე იქნა დაბარებული. დაარღვევს თუ არა ადვოკატი პროფესიული ეთიკის ნორმებს ჩვენების მიცემის შემთხვევაში?

ანალიზი:

ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას-კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან. აპკ-ის 4.4 მუხლის ჩანაწერით, კლიენტის თანხმობის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ოჯახური ძალადობის საქმეზე იცავდა ბრალდებულის ინტერესებს. სასამართლო დარბაზში ყოფნის დროს წარმოადგენდა ბრალდებულის ინტერესებს, რა დროსაც, სხდომის დაწყებამდე ბრალდებულსა და მის მეუღლეს შორის მოხდა შელაპარაკება, რის თაობაზეც პროკურატურამ აღძრა ცალკე საქმე სასამართლოს მიმართ უპატივცემულობისა და მეუღლის მიმართ მუქარის თაობაზე. აღნიშნული შემთხვევის თაობაზე ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემა წარმოადგენს მისი კლიენტის საქმის მიმდინარეობის დროს კლიენტის ქმედების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას სხვა პირთათვის. ადვოკატს მოეთხოვება დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და არ დააზიანოს კლიენტის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საგამომიებო ორგანოს მისცეს ჩვენება.

დასკვნა:

ადვოკატი კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი, მათ შორის საგამომიებო ორგანოს მიერ ადვოკატის, როგორც მოწმის სახით მისი კლიენტის მიერ სასამართლო დარბაზში ქცევის წესების დარღვევის თაობაზე ჩვენების მიცემის მოთხოვნის შემთხვევაშიც. აღნიშნულის თაობაზე ჩვენების მიცემა შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის თანხმობის დროს.

¹ <https://gba.ge/pdf/5c139182d1b63.pdf/5c139182d1b63.pdf>